რა აწუხებს ხალხს საგარეჯოში?

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგები

ოქტომბერი 2020

სიღარიბე და უმუშევრობა

უმუშევრობა და სიღარიბე ყველაზე მწვავე პრობლემებია და წლების განმავლობაში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა;

პანდემიის შედეგად კერძო ბიზნესების დაზიანებამ კიდევ უფრო გააღარიბა მოსახლეობა;

სოფლის მეურნეობის პროდუქტს ფასი არ აქვს და, შრომის მიუხედავად, სოფლად მაინც ღარიბები არიან;

ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა არ არის, მხოლოდ თბილისში ან საზღვარგარეთ შეიძლება დასაქმებაზე ფიქრი. ეს ოჯახებს განსაკუთრებით დიდ დარტყმას აყენებს;

ბავშვებისთვის მიცემული 200-ლარიანი დახმარება მხოლოდ მცირე შეღავათი გამოდგა ოჯახებისთვის;

პენსიონრები, შშმ პირები და მათი ოჯახები განსაკუთრებით ღარიბები არიან;

სოციალური დახმარების სისტემა მეტად უნდა იყოს ორიენტირებული დასაქმებასა და ოჯახების სიღატაკიდან ამოყვანაზე.

„უმუშევრობა მართლა ყველაზე დიდი პრობლემაა. ახალგაზრდების უმრავლესობა დაუსაქმებელია. აუცილებლად უნდა წავიდნენ დედაქალაქში, რომ რაიმე სამუშაო იპოვონ. ასაკოვნებისა და პენსიონრებისთვის სამუშაოს შოვნაზე ლაპარაკი ზედმეტია, მინიმალური პენსიის იმედზე არიან, რომელიც მართლა არ არის საკმარისი ელემენტარული პირობების დასაკმაყოფილებლად.“

ქალი, 18 წლის, სტუდენტი, პატარძეული.

„არ არსებობს საწარმოები, რომ ხალხი დასაქმდეს, მხოლოდ დღიურ მუშად შეიძლება და ისიც არასტაბილურია. თუ არის ვაკანსიები, იქაც ნაცნობობით ხდება დასაქმება. ამას დაემატა პანდემიის პრობლემა, ბევრი გაკოტრდა და დაკარგა სამუშაო ადგილი. ვინც დასაქმებულია, უმრავლესობა უკმაყოფილოა, ხელფასი არ არის სამუშაოს შესაბამისი. გამოუვალი მდგომარეობის გამო, იმისთვის, რომ პურის ფული გამოიმუშაონ, იძულებულები არიან, გაუძლონ დიდ დატვირთვას მცირე ხელფასის სანაცვლოდ.“

ქალი, 24 წლის, უმუშევარი, საშუალო განათლებით, საგარეჯო.

„სოციალურ დახმარებას იღებს ოჯახი იმ შემთხვევაში, თუ დაბალი ქულები აქვს. როგორც კი რაიმეს შეიძენს ან დასაქმდება ოჯახის რომელიმე წევრი, მაშინვე ეხსნება დახმარება. და ამის გამო ეს ადამიანები ერთ ადგილზე იყინებიან, არ ცდილობენ პირობების გაუმჯობესებას დახმარების მოხსნის შიშით, გარანტირებული შემოსავალი ურჩევნიათ. სახელმწიფოს მხრიდან უნდა შეიცვალოს ეს მიდგომა.“

ქალი, 18 წლის, სტუდენტი, ნინოწმინდა.

„კარგი იქნება, თუ სოციალურად დაუცველებისთვის ავაშენებდით საწარმოებს, დავასაქმებდით. გარკვეული დროის შემდეგ , როცა ექნებოდათ შემოსავალი, მოვუხსნიდით სოციალურ დახმარებას. ასეთ პირობებში მთელი ცხოვრება ეს ოჯახები ვერ ვითარდებიან და ამდენი სოციალური დახმარების გაცემით ქვეყანაც ღარიბდება.““

ქალი, 40 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული ,დასაქმებული , საგარეჯო.

„სოფელში რომ ვერ საქმდებიან ახალგაზრდები, თბილისში მიდიან, რომ მაღაზიაში მაინც იმუშაონ, სოფელი იცლება და მხოლოდ მოხუცები რჩებიან. აქ რაიმე სამსახური რომ იშოვო, აუცილებლად ნაცნობი უნდა გყავდეს.“

ქალი, 23 წლის, დაუსაქმებელი, წყაროსთავი.

„საძოვრებიც გაყიდულია და თუ ადრე უბანში 60-70 სული რქოსანი პირუტყვი გვყავდა, ახლა აღარავის აღარ გვყავს საქონელი. რომ ვიყოლიოთ, სად უნდა ვაძოვოთ?!“

ქალი, 61 წლის, პენსიონერი, თვითდასაქმებული, საშუალო განათლებით, საგარეჯო.

„ქვეყანა ძლიერი იქნებოდა, რომ ახალგაზრდები და ქალები სამუშაოდ საზღვარგარეთ არ მიდიოდნენ და შესაძლებლობა ჰქონდეთ , აქ დასაქმდნენ. ქალების სამუშაოდ საზღვარგარეთ გასვლა ოჯახს მცირედ ფინანსურ დახმარებას უწევს, მაგრამ ბავშვები უდედოდ იზრდებიან, მშობლის ყურადღება აკლიათ და ხშირ შემთხვევაში ნარკოტიკების მომხმარებლებად ან კრიმინალებად ყალიბდებიან. უცოლოდ დარჩენილი ქმრები მორალურად ნადგურდებიან, ლოთდებიან. მეც მომიწია რუსეთში მუშაობა, ახლა ჩამოვედი, როდემდე უნდა მეცხოვრა საზღვარგარეთ? უმაღლესი განათლება მაქვს, ფიზიკურად ჯანმრთელი ვარ, მაგრამ დარაჯადაც ვერ ვშოულობ სამსახურს და ვფიქრობ ისევ ქვეყნიდან წასვლას.“

კაცი, 65 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დაუსაქმებელი, საგარეჯო.

„ჩემი მეზობელი პენსიონერია, ჯანმრთელობის ბევრი პრობლემა აქვს და მოხუცებულობაც აღარ აძლევს შესაძლებლობას, რომ ფიზიკურად იშრომოს, მაგრამ გაჭირვების გამო ავადმყოფი იძულებულია, დღიურად იმუშაოს.“

ქალი, 61 წლის, მცირე მეწარმე, საშუალო განათლებით, საგარეჯო.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ხარისხი

სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია და ხელმისაწვდომი არ არის;

ადგილობრივ ექიმებს და ლაბორატორიებს არ ენდობიან და მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში მიმართავენ.

„საგარეჯოს საავადმყოფოს არ ჰყავს ვიწრო პროფილის სპეციალისტები, ამიტომ გვიწევს ყველაფერზე თბილისში სიარული. თბილისის საავადმყოფოებში ძალიან ძვირია მომსახურება, გაჭირვებულ ადამიანებს გვიჭირს ამ თანხების გადახდა.“

ქალი, 40 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, საგარეჯო.

განათლების სისტემის გაუმართაობა

მასწავლებლების სერტიფიცირების მიუხედავად, პრაქტიკაში მაინც სწავლების მოძველებული მეთოდები გამოიყენება;

მასწავლებლებს არ აქვთ მოტივაცია, რეპეტიტორობა უფრო აინტერესებთ, რადგან უფრო შემოსავლიანია;

რეპეტიტორის გარეშე ხარისხიანი საშუალო განათლების მიღება ძალიან რთულია და რეპეტიტორებისათვის ფინანსები ცოტას აქვს;

ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენა სათანადოდ არ ისწავლება, რაც ბევრ პრობლემას ქმნის;

დასაქმებისათვის პროფესიული განათლება, თუნდაც პროფილური, უფრო ნაკლებად ფასობს, ვიდრე უმაღლესი განათლება.

„მასწავლებლები გამოცდებს კი აბარებენ და სერტიფიკატს იღებენ, მაგრამ ამას უმრავლესობა ხელფასისთვის აკეთებს და აგრძელებს ისევ ძველი მეთოდებით მუშაობას.“

ქალი, 40 წლის, უმაღლესი განათლებით, საგარეჯო.

“მე რომ სკოლაში დავდიოდი, იმ დროსთან შედარებით დღეს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა, ჩემს დროს დამატებით პედაგოგის დახმარება სუსტ ბავშვს სჭირდებოდა, დღეს კი უმრავლესობა ემზადება რეპეტიტორთან.“

ქალი, 31 წლის, დაოჯახებული, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, საგარეჯო.

„საგარეჯოში ცხოვრობენ კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელები, რომელთა დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა, ვფიქრობ, ეს არის დიდი პრობლემა.“

ქალი, 40 წლის, დასაქმებული, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, საგარეჯო.

„სკოლებში სწავლების ხარისხი დაბალია, ბავშვი თუ დამატებით არ მოამზადე, სკოლა ვერაფერ ცოდნას ვერ აძლევს. კლასებია გადატვირთული, ერთად 40 ბავშვის გაკონტროლება პედაგოგებს უჭირთ.“

ქალი, 35 წლის, დაოჯახებული, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, საგარეჯო.

„სკოლებში მასწავლებლებს ახლა უკვე კარგი ანაზღაურება აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დაბალია განათლების დონე, არ ირჯებიან სათანადოდ, რომ ბავშვებს მისცენ ცოდნა. დღეს 99% -ზე მეტს სჭირდება კერძოდ მომზადება.“

ქალი, 40 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, საგარეჯო.

„ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანს კოლეჯი აქვს დამთავრებული იმ პროფილით, რომელ პოზიციაზეც არის ვაკანსია. ასეთ კადრს უარს ეუბნებიან და იმ ადგილზე იღებენ სრულიად სხვა პროფილის სპეციალისტს, მაგრამ უმაღლესის დიპლომით, ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება არასწორია.“

ქალი, 18 წლის, უმუშევარი, ნინოწმინდა.

ინფრასტრუქტურის გაუმართაობა

სასმელი წყალი, გზები, კანალიზაცია და სანიაღვრე სისტემა კვლავაც არაა ყველასთვის ხელმისაწვდომი;

ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხი არ კონტროლდება და უხარისხო ნამუშევარი ისევ მალე ფუჭდება;

ინფრასტრუქტურული პროექტები გაჭიანურებულია;

ინფრასტრუქტურა შერჩევით წესრიგდება - ჯერ იმ ადგილებში, სადაც გავლენიანი პირები ცხოვრობენ.

„ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ, ბევრად მეტი გზა გაკეთდა, ვიდრე აქამდე, მაგრამ პრობლემაა ხარისხი. ზედამხედველობის სამსახურმა უნდა აკონტროლოს, როგორ კეთდება და ვადებში რამდენად ესწრება, რომ მოსახლეობა კმაყოფილი იყოს.“

ქალი,40 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, საგარეჯო.

„ქუჩაში უნდა იყოს სასმელი წყალი. სოფლებიდან ჩამოსული ხალხი ხშირად ჩემთან შემოდის და დასალევ წყალს მთხოვს, მეც წყალი სახლიდან მომაქვს და განა რამდენს მოვიტან, რომ ყველა დავაკმაყოფილო?“

ქალი, 63 წლის, დაოჯახებული, ტექნიკური განათლებით ,დასაქმებული, საგარეჯო.

„ მე სოფელში ვცხოვრობ და არც ჩვენთან და არც სხვა სოფლებში საკანალიზაციო სისტემა არ არის. ყველა სოფელში უნდა იყოს ერთი ცენტრალური მაგისტრალი, რომ სოფლის მოსახლეობისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს.“

ქალი, 64 წლის, საშუალო განათლებით,თვით დასაქმებული, დაოჯახებული, წყაროსთავი.

„ჩემს სოფელში, სადაც დეპუტატი ცხოვრობს, წაროვნა რომ იყოს, შუქი არ ქრება, ჩემს უბანში კი ყოველ ქარის ამოვარდნაზე დენი ირთვება და შეიძლება მთელი დღე ელექტროენერგია არ გვქონდეს, რეაგირებაც გვიან ხდება და ხაზებიც საჭიროებს რეაბილიტაციას. ეს ხომ ელემენტარულია 21-ე საუკუნეში, ფუფუნებას ხომ არ ვითხოვთ?!“

ქალი, 18 წლის, სტუდენტი, პატარძეული.

„ჩემს უბანში პრობლემაა სანიაღვრე არხის დაზიანება, წყალი წვიმის დროს გზაზე მოედინება, აზიანებს მას და 15 ოჯახს უწევს წყალში სიარული. სხვა უბნებში წარმოებს გზების რეაბილიტაცია, მაგრამ ხალხი მაინც უკმაყოფილოა, რადგან უხარისხოდ კეთდება და ეს, ჩემი აზრით, ტენდერში გამარჯვებული კომპანიების და მათი არაპროფესიონალიზმის ბრალია.“

ქალი, 40 წლის, დასაქმებული, უმაღლესი განათლებით, საგარეჯო.

„10 წელია საზღვარგარეთ ვარ, წელს დავბრუნდი. როგორც დავტოვე იმ პერიოდში, რაც სააკაშვილმა შეღება თუ დაჩხაპნა, ისევ ისეთი დამხვდა. კორპუსი ინგრევა, რომ გამოვდივარ, ჯერ მაღლა ვიყურები, არაფერი დამეცეს და მერე დაბლა ვიხედები, არაფერმა მიკბინოს. აბა, ამას კარგი ჰქვია?! ყველა გვპირდება, მაგრამ კაციშვილი გამკეთებელი არ არის. წყალმომარაგება სრულყოფილად არასად არ არის გაკეთებული და რაც არის, ის წყალი არ დაილევა. საწვავის ფასიც ყოველდღე იმატებს, მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში გვენახვებიან და მერე აღარ ვახსოვართ.“

კაცი, 65 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, უმაღლესი განათლებით, საგარეჯო.

„გზის პრობლემა მაწუხებს. ბაზართან და გამგეობასთან ამოთხარეს ორმოები და ასე დატოვეს, უკვე რამდენი ხანია, სულ ათხრილ-დათხრილია ქუჩები, გზები შერჩევით კეთდება, საფარს აგებენ ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა თითქმის არ არის ან ძალიან ცოტა ცხოვრობს, მაშინ როცა 240მოსახლიან უბანში, წლებია, ასფალტი არ დაგებულა. თუ ვინმე გავლენიანი ცხოვრობს, ჯერ იმ უბნებში ეწყობა ინფრასტრუქტურა და მერე სხვაგან.“

კაცი, 65 წლის, დაოჯახებული, პენსიონერი, თვითდასაქმებული, თოხლიაური.

სახელმწიფო სერვისები და პროგრამები

სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამებისგან დიდი შეღავათი არაა;

სოციალურად დაუცველების პროგრამაში ჩართვა სამართლიანად და საჭიროების მიხედვით არ ხდება;

სახელმწიფო სერვისები დროში გაწელილია და მოქალაქეებს აქვთ განცდა, რომ მათზე უკეთ უცხოელებს ემსახურებიან.

„ყურძენია ჩვენი შემოსავალი და არ აქვს ფასი. ყველაზე დიდი შრომა ვაზს სჭირდება, ბევრი წამლვა უნდა, წამლის ფასმა ძალიან მოიმატა და ყურძნის ფასი ისევ დაბალი დარჩა. საწვავზე ვითომ დაგვეხმარნენ, 1 ლარით ნაკლებად შეგვიძლია შეძენა, მაგრამ მხოლოდ ,,სოკარში“ შეიძლება იმ ტალონით სარგებლობა და იქ სხვებთან შედარებით 1 ლარით ძვირია საწვავი. სხვაგან ფასდაკლების გარეშეც იმ ფასად შევიძენ, როგორც ტალონით.“

ქალი, 64 წლის, დაოჯახებული, საშუალო განათლებით, თვითდასაქმებული, სოფელი.

„ჩემი მამაპაპეული სახლის დარეგისტრირებაზე ორი წელი ვიწვალე, ძლივს მოვახერხე. ასეთი ბარიერები არ უნდა გვექმნებოდეს ადგილობრივებს მაშინ, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეს მარტივად ურეგისტრირებენ.“

კაცი, 65 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, უმაღლესი განათლებით, საგარეჯო.

„სოციალურ დახმარებას იღებს ისეთი, ვინც არც თუ ისე გაჭირვებულია და ვერ იღებს ძალიან გაჭირვებული და შრომისუუნარო. წლებია, ვერ მივაღწიეთ ჩვენს სოფელში, ძალიან გაჭირვებულმა ოჯახმა რომ მიიღოს დახმარება მაშინ, როდესაც უკეთეს პირობებში მცხოვრები ოჯახები იღებენ დახმარებას, ნაცნობობით და ჩაწყობით ხდება ქულების დათვლა და სოციალურის დანიშვნა.“

ქალი, 40 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, საგარეჯო.

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხადრაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCC